

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განსაზღვრის წესის შესახებ

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლის 1" პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და "საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განსაზღვრის თანდართული წესი.

2. დაევალოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საავტომობილო გზების დეპარტამენტს და ეთხოვოს შესაბამის ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად უზრუნველყონ სათანადო ღონისძიებათა განხორციელება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, ამ გზებსა და ნაპირსამაგრ ნაგებობებზე შესრულებულ სამუშაოთა გადაცემასთან დაკავშირებით.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ზურაბ ნოღაიდელი

წესი - ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განსაზღვრის წესი

მუხლი # 1

1. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებად ჩაითვალოს:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ამავე მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებთან დამაკავშირებელი გზები;

ბ) თვითმმართველი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში არსებული საავტომობილო გზები;

გ) დასახლებული პუნქტების საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დამაკავშირებელი გზები;

დ) მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები;

ე) განსაკუთრებული მნიშვნელობის კურორტების, დასვენებისა და ტურისტული ადგილების, სპორტული კომპლექსების, ისტორიული და კულტურული ძეგლების, სამეცნიერო ცენტრებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტების მუნიციპალიტეტის პუნქტებთან (რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობენ აღნიშნული ობიექტები) დამაკავშირებელი გზები, აგრეთვე უახლოეს რკინიგზის სადგურებთან, საზღვაო ნავსადგურებთან მისასვლელელები საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებიდან;

ვ) საავტომობილო გზები, რომლებიც არ არის განსაზღვრული "საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 15 სექტემბრის N554 ბრძანებულებით;

ზ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს შეიძლება მიეკუთვნოს გზები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ადგილობრივი გზების მაჩვენებლებს, მაგრამ აქვთ თავდაცვითი და სპეციალური მნიშვნელობა.

## მუხლი # 2

1. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას ამტკიცებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. როგორც წესი, იგი გადაისინჯება სამ წელიწადში ერთჯერ.

2. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების ნუსხას "საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.